თბილისის მოსახლეობის ცნობიერების დონე და მზაობა საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარაციის მიმართ

მარიამ ღამბაშიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და მედიცინის ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობაში მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბუნების დაცვა და მეტყევეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან უგრეხელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”

მარიამ ღამბაშიძე

17.05.2023

აბსტრაქტი

მსოფლიო გარემოსდაცვითი პრობლემების წინაშე უკვე მრავალი ათეული წელია დგას. ხშირად ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად სწორედ ნარჩენების სექტორის გაუმართაობა სახელდება. სხვადასხვა ქვეყნებში უკვე არსებულ სეპარაციის პრაქტიკაზე გადასვლა საქართველოს კანონმდებლობით, ისევე როგორც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შეთანხმების თანახმად, განსახორციელებელი ვალდებულებაა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი იყო აღეწერა თბილისის მოსახლეობის მზაობისა და ცნობიერების დონე საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარაციის პრაქტიკის თვალსაზრისით. ამისათვის შეიქმნა და გავრცელდა ონლაინ რაოდენობრივი კითხვარი, რომელიც სამ სექციად დაიყო: ცნობიერება, მზაობა და სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები.

მონაცემების სტატისტიკური დამუშავების შედეგად მივიღეთ დასტური იმისა, რომ თბილისის მოსახლეობა მზად არის გადავიდეს საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარაციის პრაქტიკაზე და ამისათვის საკმარის ცნობიერებასაც ფლობს. ამასთან, გამოკითხულთა უმეტესობა დადებითად აფასებს სუფსიდიების არსებობის პერსპექტივას. აღსანიშნავია, რომ სოციო-დემოგრაფიულ მახასიათებლებსა და საზოგადოებაში ცნობიერებისა და მზაობის დონესთან მიმართებაში გარკვეული კორელაციები დადგინდა. ანალიზის მიხედვით, ოჯახის საშუალო თვიური შემოსავლის ზრდა დაკავშირებული იყო როგორც ცნობიერების, ისე მზაობის დონის მატებასთან. ასაკი და სქესი მზაობაზე, ხოლო უშუალო კავშირი გარემოსდაცვით სფეროსთან როგორც ცნობიერების და მზაობის დონეზე, ასევე არსებული მდგომარეობის კრიტიკულად შეფასებასთან არის მჭიდრო კავშირში.

წინამდებარე კვლევა აძლევს გადაწყვეტილებების მიმღებთ და პოლიტიკის გამტარებლებს სასარგებლო ინფორმაციას ნარჩენების სეპარაციის პრაქტიკის მიმართ თბილისში არსებული ცნობიერებისა და მზაობის შესახებ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ნარჩენების სეპარაცია, საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარაცია, მზაობა, ცნობიერების დონე

Abstract

The world has been facing environmental problems for many decades. The failure of the waste sector is often considered as one of the biggest challenges. The transition to waste separation, which already exists in various countries, is a commitment that must be implemented according to the Georgian legislation, and as part of the Association Agreement with the European Union.

The aim of this work was to describe the readiness and awareness of the population of Tbilisi regarding household waste separation. For this purpose, a quantitative online questionnaire was created and distributed, which was divided into three sections: awareness, willingness, and socio-demographic characteristics.

Statistical analysis of the data showed that the study population is ready to switch to waste separation and has sufficient awareness to do so. At the same time, the majority of respondents positively evaluated the positive impact of subsidies. Certain correlations were found between socio-demographic characteristics, awareness, and willingness. For example, family income positively affected the awareness and willingness of respondents. Age and gender were associated with readiness and being involved with environmental protection both with awareness and readiness, as well as critical evaluation of the current situation.

This study provides useful information for policymakers regarding the awareness of and readiness to waste separation in Tbilisi.

Key Words: household waste, waste separation, household waste separation, readiness, awareness

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ქეთევან უგრეხელიძეს, რომელიც არა მხოლოდ სამაგისტრო თემის წერის დროს, არამედ მთელი პროგრამის განმავლობაში პროფესიულ განათლებას მაძლევდა და აქტიურად იყო ჩართული ჩემს საგანმანათლებლო პროცესში.

მადლობა ყველას, ვინც კითხვარი შეავსო, რადგან მათი თანამონაწილეობის გარეშე კვლევის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა.

ასევე ძალიან დიდი მადლობა ჩემს ძმას, ნიკა ღამბაშიძეს, რომელიც აქტიურად მეხმარებოდა ნაშრომზე მუშაობის ყველა საფეხურზე. განსაკუთრებით კი, სტატისტიკური ანალიზის ნაწილის აგებისა და შედეგების ეტაპზე.

ბოლოს კი, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი ოჯახის სხვა წევრებს, რომლებიც სწავლის განმავლობაში მაქსიმალურად მიწყობდნენ ხელს და მედგნენ გვერდში.